



საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებისა
და გამოწვევების ანალიზი

თბილისი, 2018

სარჩევი

❖ შესავალი -----	3
❖ სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების ასპექტები -----	4
❖ სამართლებრივი ომი და დიპლომატიური დავები -----	5
❖ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აქტივობა -----	7
❖ საკონსტიტუციო წესრიგის საფრთხეები -----	8
❖ საინფორმაციო ოპერაციები -----	9
❖ ტერორიზმი -----	11
❖ კიბერუსაფრთხოება -----	12
❖ დასკვნა -----	14

შესავალი

დოკუმენტის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს საქართველოს სახელმწიფოს წინაშე არსებული პრობლემები და საფრთხეები. საქართველოს არსებული კანონმდებლობით და პროცედურებით ეს არის სახელმწიფო ინსტიტუტების მოვალეობა, თუმცა დღეს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების ვებ საიტზე ჯერ კიდევ 2010 წლის ვერსიაა განთავსებული, რომელიც მოიცავს 2013 წლამდე პერიოდს. მკითხველს შევახსენებთ, რომ 2013 წლის შემდეგ მოხდა ყირიმის ანექსირება, დონბასა და ლუნგანსკში რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, აისისის აღზევება და დასუსტება, მიგრანტთა კრიზისი, ბრექსიტი და მრავალი სხვა მცირე, თუ გლობალური მოვლენა, რომელიც პირდაპირ და ირიბ ზეგავლენას ახდენს საქართველოზე.

ამ ნაშრომის მიზანია ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს მოქალაქეებს და ხელი შეუწყოს დისკუსიასა და განხილვებს ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორც არის საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები და გამოწვევები, მათი განვითარების დინამიკა.

დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული კვლევისა და მსჯელობის შედეგად შექმნილ დია დოკუმენტს, რომელიც თვისობრივად ეყრდნობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და ძალოვან უწყებათა მიერ საჯაროდ გამოქვეყნებულ მონაცემებს, დარგის ექსპერტების მიერ გამოქვეყნებულ მოსაზრებებს, ჯგუფის თითოეული მონაწილის გამოცდილებასა და სხვადასხვა დია წყაროში მოძიებულ ინფორმაციას. იგი წარმოადგენს ზოგად ხედვას საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების სტრუქტურისა და არსის შესახებ, იმ სახით როგორც ეს შესაძლოა განისაზღვროს ჯგუფის წევრების კომპეტენციის ფარგლებში.

ეს დოკუმენტი არის შეზღუდული რესურსებით, მცირე ანალიტიკური ჯგუფის მიერ შექმნილი პროდუქტი. ჩვენ მივესალმებით ნებისმიერ კონსტრუქციულ მონაწილეობას, როგორც საზოგადოების ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან.

სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების ასპექტები

2008 წელს განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთ-საქართველოს ომმა და საქართველოს ტერიტორიების შემდგომმა ოკუპაციამ ზედმიწევნით ნათლად წარმოაჩინა რუსეთის ინტერესებისა და მიზნების არსი, როგორც გლობალურ მასშტაბში, ასევე საქართველოს მიმართ. რუსეთის მიერ დეკლარირებული უსაფრთხოების პოლიტიკის თანახმად დაუშვებელია მოსაზღვრე ქვეყნების დაპირისპირებულ სამხედრო ბლოკებში გაწევრიანება, ან მტრული სამხედრო ძალების მათ ტერიტორიაზე დისლოცირება, რაც კიდევ ერთი მიზეზია საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიისა.

რუსეთის სამხედრო მიზნებს საქართველოში წარმოადგენს:

- ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების არდაშვება;
- საჭიროების შემთხვევაში საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის და წესწყობილების შეცვლა;
- საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-ს ქვედანაყოფების განლაგების აღკვეთა;
- ყარაბახის კონფლიქტის შემთხვევაში საქართველოს ტრანზიტად და ლოგისტიკურ ჰაბად გამოყენება.
- ალიანსის ლოგისტიკური მიმართულებების საქართველოს ტერიტორიისთვის გვერდის ავლა;
- სამხრეთ კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში შესაძლო შეირადებული დაპირისპირების, ან ფართომასშტაბიანი ომის შემთხვევაში საკუთარი ლოგისტიკური მიმართულებების განვითარება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- შავ ზღვაზე რუსეთის გავლენის გაძლიერება და საქართველოს ამ სქემაში გამოყენება.

საშუალებები და გზები:

- სრულმასშტაბიანი და შეზღუდული სამხედრო ოპერაციების ჩატარება;
- გაყინული კონფლიქტის შენარჩუნება და კვაზისახელმწიფოების მხარდაჭერა;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებული ძალებისა და საშუალებების გაძლიერება და სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- შავი და კასპიის ზღვის რეგიონების სივრცის სამხედრო საშუალებებით კონტროლი და ამ ამოცანის შესასრულებლად ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ძალების გამოყენება;

- საქართველოს ტერიტორიაზე სომხეთის მიმართულებით სახმელეთო დერეფნის გაჭრა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების უზრუნველსაყოფად;
- შიდა პოლიტიკური ესკალაციის შემთხვევაში რომელიმე მხარისთვის ფარული სამხედრო დახმარების გაწევა;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული დე-ფაქტო რეჟიმების მხრიდან მცოცავი ანექსია და ტერიტორიული პრეტენზიები (მაგ.: თრუსოს ხეობა);
- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოსა და მოსაზღვრე ტერიტორიაზე: გვირაბები (დარიალი, კობი-გუდაური), როკადული საგზაო ქსელის განვითარება ცენტრალური კავკასიონის ქედის გასწვრივ;
- რუსეთის მხრიდან ახალი სასაზღვრო გამშვები პუნქტებისა და შემოსვლის მარშრუტებისა შექმნა (დაღესტანი, ჩეჩნეთი);
- საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის რეაბილიტაციის მცდელობა. რუსეთი -საქართველო-სომხეთი -ირანი ლოგისტიკური მარშრუტის შესაქმნელად;
- მის ინტერესებში შედის საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესის შეჩერება და რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების გაზრდა.

სამართლებრივი ომი და დიპლომატიური დავები

მიზნები:

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით ოკუპირებული ტერიტორიების “დამოუკიდებლობის” საერთაშორისო აღიარების გაფართოება. ამ ტერიტორიების რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესაძლო შესვლის ლეგიტიმაცია. საქართველოს, როგორც 2008 წლის ომის წამომწყების წარმოჩენა და მისი საერთაშორისო მხარდაჭერის შეზღუდვა, რაც იწვევს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შეფერხებას.

საშუალებები და გზები:

- რუსეთი კვლავ გამოიყენებს სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებს (ორმხრივი და ორგანიზაციები) რათა მოახდინოს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფორმალური ლეგიტიმაცია;
- 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი სამართლებრივი დავების ლობირება საერთაშორისო სასამართლო ინსტანციებში და საქართველოში "გავლენის აგენტების" გამოყენება ამ დავაში რუსეთის სასარგებლოდ.
- რუსეთი იყენებს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, როგორც ინსტრუმენტს დაპირისპირებაში და მანიპულირებს ამ ნორმებით რათა შექმნას კვაზისამართლებრივი საფუძვლები ღია საბრძოლო (მტრული) მოქმედებების დასაკანონებლად ("ზორდერიზაცია", საზღვრების დელიმიტაციის პროცესის გაჭიანურება - საბოტირება, გამყოფი ხაზების და საზღვრის გადატანა ტერიტორიების მიტაცებით) ამგვარ მოქმედებებს თან ერთვის და უზრუნველყოფს საინფორმაციო ღონისძიებები, მცდარი ცნობების გავრცელება და პროპაგანდისტული კამპანია;
- დიპლომატიური არხებით გააქტიურდება რუსეთის მცდელობები დასავლეთში, რათა შეჩერდეს საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი;
- საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის რუსული პასპორტების გადაცემა;
- გაეროში მხარდამჭერი რეზოლუციების ბლოკირება, როგორც 90-იანი წლების კონფლიქტებზე ასევე 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებასა და მათი ქონებრივი უფლებების აღდგენაზე;
- დასავლელი პარტნიორების საქართველოს მიმართ ინტერესის დასუსტებით, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს პრობლემატიკის შესახებ მიმდინარე დისკუსიების შესუსტება და ბლოკირება;
- ოკუპირებული ტერიტორიების სხვა ქვეყნების მიერ აღიარების გაფართოება;

უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აქტივობა

მიზნები:

საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკაზე, ასევე ეკონომიკაზე ზემოქმედების ბერკეტების შექმნა, ე.წ. „გავლენ აგენტების“ ჩანერგვა და მათი გააქტიურება საჭიროების შემთხვევაში - მათი ხელით რაიმე კრიზისების შექმნა და გამწვავება.

საშუალებები და გზები:

- საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებების მისწრაფებების და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოპოვება - ზეგავლენა;
- თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებულსა და სამომავლო გეგმებზე ინფორმაციის მოპოვება - ზეგავლენა;
- შიდა პოლიტიკაზე და პოლიტიკურ ინსტიტუციებს შორის ურთიერთ დამოკიდებულებაზე ინფორმაციის მოპოვება - ზეგავლენა;
- ინფორმაციის მოპოვება ქართველ ბიზნესმენებზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებით და ასევე მათ განწყობაზე საქართველოს არსებული საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით;
- ქვეყნის საარჩევნო პროცესებში ჩარევა და ზეგავლენის განხორციელება;
- საქართველოს ტერიტორიის გამოყენება მეზობელი პარტნიორი ქვეყნების წინააღმდეგ აქტიური სადაზვერვო ღონისძიებების განსახორციელებლად;
- ორგანიზებული დანაშაული (საქართველოსთან დაკავშირებული კრიმინალური ავტორიტეტებისა და დაჯგუფებების გამოყენება ევროკავშირის და დასავლეთის ქვეყნების ტერიტორიაზე საქართველოს დისკრედიტაციისთვის);
- საქართველოს მოქალაქეების გატაცება კონფლიქტის მიმდებარე ზონებიდან;
- სადაზვერვო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის გამოყენება;

- რუსეთის სპეცსამსახურების მოქმედება დიპლომატიური სამსახურისა და სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ პარტნიორ ქვეყნებში და ამ აქტივობის „არ არსებობა“ საქართველოს შემთხვევაში;
- სხვა ქვეყნებში სადაზვერვო საქმიანობის წარმოებისას საქართველოს მოქალაქეების გამოყენება;
- საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სადაზვერვოს სამსახურის მიერ წარმოებული სადაზვერვო ღონისძიება პარტნიორი ქვეყნების წინააღმდეგ.

საკონსტიტუციო წესრიგის საფრთხეები

მიზნები:

სახელმწიფო მოწყობის ფორმების, თანამედროვე დასავლურ ფასეულობებზე აგებული ინსტიტუტების შესუსტება-მოშლა და შიდა დაპირისპირებების ინსპირირება საზოგადოებრივი წესრიგის დესტაბილიზაციის მიზნით.

საშუალებები და გზები:

- ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედებისას საქართველოსთან დაკავშირებული კრიმინალური ავტორიტეტებისა და დაჯგუფებების გამოყენება;
- კრიმინალური ავტორიტეტებისა და ორგანიზებული დამნაშავე ჯგუფების შიდაპოლიტიკურ, საარჩევნო, საზოგადოებრივ პროცესებში ჩარევა, როგორც გარე ძალების, ასევე შიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და თავად ამ სახის ჯგუფების ინტერესების და მიზნების მისაღწევად;
- სამოქალაქო, ეკონომიკურ და სამართლებრივ დავებში მედიაციის ფორმად კრიმინალური სამყაროს მონაწილეობა;
- საერთო კრიმინალური ფონის გაუარესება, დამნაშავეობის ზრდა;
- სახელმწიფო ინსტიტუტების, სამართალდამცავი, სახელმწიფო უსაფრთხოების და სასამართლო სისტემების ეფექტურობის შემცირება, ინსტიტუციური აღმშენებლობის პროცესების ეროზია და მართვის ეფექტურობის ვარდნა;
- სოციალური დაძაბულობის ზრდა კორუმპირებული და ნეპოტისტური საკადრო პოლიტიკის შედეგად;
- ეკონომიკური და ფინანსური განვითარების პროცესის შეფერხება;

- ეთნიკურ, რელიგიურ და სოციალურ ნიადაგზე დაპირისპირების ესკალაცია სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მონაწილეობით;
- უმცირესობათა მიმართ კონფრონტაციული განწყობებით მანიპულირება და პროპაგანდა, როგორც ქვეყნის შიდა ასევე სხვა სახელმწიფოებში არსებული ძალების ზემოქმედებით;
- რუსეთის მოქალაქეების და რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების ე.წ. დარღვევების საბაზად გამოყენება შემდგომი პოლიტიკური დამაბულობის გამოსაწვევად;
- დეკლარირებული სახელმწიფო პოლიტიკის მიუხედავად ფორმალური და არაფორმალური კავშირებისა და ურთიერთობების ინიცირება ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და არასამთავრობო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებთან.

საინფორმაციო ოპერაციები

მიზნები:

პროდასავლური მისწრაფებების შემცირება და განეიტრალება, რუსეთისა და მისი პოლიტიკის მიმართ კეთილგანწყობის მოპოვება-გამლიერება, შედეგად კი საქართველოს რუსეთის გეოპოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნება.

საშუალებები და გზები:

- გავრცელების სივრცისა და აუდიტორიის გაფართოება;
- სასურველი, ან მცდარი (fake news) ინფორმაციის გავრცელება სატელევიზიო და რადიო გადაცემების, ჟურნალისტების, სოციალური ქსელების, ელექტრონული მედიის, ბლოგერების, ლოიალური საზოგადო მოღვაწეების, პოლიტიკური ფიგურებისა და ექსპერტების მეშვეობით;
- აუდიტორიის და მხარდამჭერების რაოდენობის შესახებ მცდარი წარმოდგენების შექმნა ე.წ. „ტროლების ფაბრიკების“ და „ბოტების“ მეშვეობით;
- მცდარი ან ხელსაყრელი სახით ფორმულირებული სოციოლოგიური და საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების გამოქვეყნება, სამიზნე აუდიტორიის მოსაზრებების მანიპულირების და ცვლილების მიზნით;

- არასასურველი მოღვაწეებისა და მნიშვნელოვანი პირების დისკრედიტაცია-კომპრომეტირება მცდარი ინფორმაციის და მართვადი წყაროების მეშვეობით გავრცელებული ინფორმაციით;
- შესაბამისი ორგანიზაციების მიერ სოციოლოგიური და საზოგადოებრივი აზრის კვლევების ჩატარება დასახული მიზნების და შერჩეული მეთოდების ეფექტურობის ხარისხის დასადგენად;
- ქვეყნის შიგნით, ასევე ევროპასა და აშშ-ში, საეთაშორისო ორგანიზაციებში, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის და ევროკავშირის სტრუქტურებში, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის იდეის დისკრედიტაცია ევროსკეპტიკოსების, ნაციონალისტ-პოპულისტების, ნატოს მიმართ სკეპტიკურად განწყობილი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ძალების მოქმედებებისა და განცხადებების მეშვეობით და ამ კურსის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერის შესუსტება;
- წარმოქმნილი საფრთხეების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებით, შიდა დაპირისპირებების ხელოვნურად გამძაფრებითა და მიზანმიმართული პროპაგანდით, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებული რეალური პრობლემებიდან ყურადღების გადატანა თურქეთის, აზერბაიჯანის და სხვა მუსლიმანური ქვეყნების მხრიდან მომდინარე წარმოსახვით საფრთხეებზე და მათ მიმართ ნეგატიური და ქსენოფობიური განწყობის გაღვივება;
- ენის შემსწავლელი კურსებისა და საზოგადოებების მეშვეობით, ისტორიული მოვლენების, ფიგურებისა და მათი მოღვაწეობის გარშემო დაინტერესებულ პირთა ერთობების შექმნით რუსული სახელმწიფოსა და პოლიტიკის მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ფორმირება. წარსული ურთიერთკავშირებისა და პიროვნული კონტაქტების ხარჯზე შესაბამის კულტურის დარგებში (კინო, თეატრი, მუსიკალური წრეები და ა.შ.) კავშირების გაღრმავება და საზოგადო მოღვაწეთა მოზიდვა, მიმდინარე დაპირისპირებიდან ყურადღების გადასატანად;
- საგანმანათლებლო კურსები და გაცვლითი პროგრამები განათლების ყველა დონეზე ამავე მიზნებს ემსახურება. შედეგად ვიღებთ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს სათანადო კავშირებით ქვეყნის გარეთ;
- ახალგაზრდული ორგანიზაციები და დაჯგუფებები გაერთიანებული რადიკალური და ქსენოფობიური იდეების გარშემო, რომელთა ასოცირებაც ხდება მთელ რიგ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებთან და პარტიებთან;
- სპორტის სხვადასხვა სახეობის კავშირებისა და ორგანიზაციების, წარმატებული სპორტსმენებისა და ავტორიტეტული მოღვაწეების მეშვეობით, სათანადო

კავშირების და თანამოაზრეთა მოპოვება გულშემატკივრებსა და მხარდამჭერებს შორის შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად.

ტერორიზმი

მიზნები:

საქართველოს ტერიტორიის გამოყენება გადაადგილებისა და ტრანზიტისათვის ჩრდილო კავკასის, შუა აზრის, თურქეთის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართულებით. ქართული საბანკო და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით ფულადი სახსრების მოძრაობა ტერორისტული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს მოქალაქეების, საქართველოში მცხოვრები, თუ დროებით შემოსული პირების გამოყენება საკუთარი მიზნებისათვის. საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების მსურველი და მხარდამჭერი პირების რადიკალიზაცია-რეკრუტირება.

საშუალებები და გზები

- ტერორისტული ჯგუფებისა და ცალკეული ტერორისტებისათვის საქართველოს გავლით სხვადასხვა მიმართულებით ტრანზიტისათვის შესაბამისი ფარული თავშესაფრების, შეხვედრების და მარშრუტების ქსელის შექმნა;
- სახელმწიფო მოხელეების არაინფორმირებულობის, დაუდევრობის, სასაზღვრო კონტროლის რეჟიმის სისუსტეების და სახელმწიფო საზღვრის ცალკეული უკონტროლო მონაკვეთების გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე არალეგალურად შესაღწევად და ფარულად დასატოვებლად;

- საქართველოს მოქალაქეების რეკრუტირება ტერორისტულ ორგანიზაციებში სხვადასხვა იდეოლოგიური სარჩულით;
- ქართული საბანკო სისტემის გამოყენება ფულადი სახსრების ფარული გადაადგილებისათვის, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ;
- ქვეყანაში არსებული ლიბერალური სავიზო პოლიტიკის, მოქალაქეობის მიღების გამარტივებული პროცედურების და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების მარტივი პროცედურების გამოყენება;
- დივერსიები სტრატეგიული მნიშვნელობის მილსადენებზე, მიწოდების და ტრანზიტის შეზღუდვის მიზნით;

კიბერუსაფრთხოება

მიზნები:

საქართველოს სახელმწიფო და კერძო სექტორის (ფინანსური დაწესებულებები, მედია) კრიტიკულ საინფორმაციო და კავშირგაბმულობის სისტემებში შეღწევა, კონტროლის მოპოვება და მანიპულაცია.

- სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მიზნით სხვადასხვა ღია და ფარული ოპერაციების (პოლიტიკური/სამხედრო/საინფორმაციო) მხარდაჭერა;
- პარალიზება და საბოტაჟი კონფლიქტების გამწვავების ფაზაში.

ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად, ასევე შესაძლებელია მოქალაქეებზე მასობრივი თვალთვალი და პირადი ინფორმაციის შეგროვების ტექნოლოგიების გამოყენება.

საშუალებები და გზები:

- ჰაკერული გზით ფარულად შეღწევა და კონტროლის მოპოვება;
- შეღწევა აგენტურული გზით და ფარული კონტროლის პროგრამული, ან ტექნიკური საშუალებების განთავსება;

- აგენტურული საშუალებებით ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებელ ორგანიზაციებში შეღწევა, ან ჩანერგვა და ფარული კონტროლის საშუალებებით წინასწარ აღჭურვა;
- პირდაპირი საბოტაჟი/დივერსია;
- მოქალაქეების კომპიუტერებში, ასევე სმარტფონებში და ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერიზებულ მოწყობილობებში (ე.წ. IoT – Internet of Things) მასობრივი შეღწევა;
- ჰაკერული კიბერდანაყოფების ჩამოყალიბება და მომზადება;
- სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება საინფორმაციო და კავშირგაბმულობის სისტემებზე;
- საინფორმაციო და კავშირგაბმულობის სისტემებზე რეგულარული კიბერშეტევების განხორციელება მათი მოწყვლადობის გამოსავლენად;
- ცალკეულ კრიმინალებთან, ან კრიმინალურ დაჯგუფებებთან თანამშრომლობა და კოორდინაცია, მათი ადამიანური და ტექნიკური რესურსების გამოყენება;
- საინფორმაციო და კავშირგაბმულობის სისტემების ობიექტებზე აგენტურის ჩანერგვა/გადმოზიდვა;
- სხვადასხვა სახის „მაგნე პროგრამების“ (მაგ. ვირუსების) შექმნა, არსებულის მოდიფიცირება სასურველი ფუნქციების დამატებით და მათი გავრცელება;
- საინფორმაციო და კავშირგაბმულობის სისტემებში დივერსიებისა და საბოტაჟის მოწყობა.

დასკვნა

ბოლოს კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ არსებული დოკუმენტი არის საზოგადოებრივი ინიციატივის შედეგი და ეფუძნება ღია წყაროებს. მისი მიზანი არის არა მარტო საფრთხეების შეფასება, არამედ საზოგადოების ინფორმირება საქართველოს გარშემო არსებულ პროცესებზე.

ანალიზისა და განხილვების პროცესში გამოაშკარავდა, რომ გარდა შეფასებისა ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია საფრთხეების გაზომვა დინამიკაში, ანუ მარტო იმის აღწერა კი არ რა ხდება ეხლა, არამედ რა მიმართულება და რა განვითარების ვექტორი შეიძლება ქონდეს ამას მომავალში, ასევე რამდენად შეუძლია საქართველოს შეამციროს აღნიშნული საფრთხის დინამიკა. ეს დოკუმენტი არ მოიცავს საქართველოს სახელმწიფო უწყებებისა და ინსტიტუტების შეფასებასა და ანალიზს, მაგრამ გამომდინარე ჯგუფის წევრების პროფესიონალური გამოცდილებიდან და ასევე საფრთხეების დინამიკის მარტივი ანალიზიდან ჩვენ ვერ ვიპოვეთ ფაქტები და არგუმენტები სახელმწიფოს ეფექტიანი ჩარევის სასარგებლოდ, ანუ უმეტესად საფრთხეები დინამიკაში მზარდია და მათი ნეგატიური გავლენა ქვეყანაზე იზრდება.

ეს არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული დოკუმენტი, ეს არის შეზღუდული რესურსების პირობებში შექმნილი პროდუქტი და ასევე მისი მიზანია ამ პროცესში ჩართოს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტები და ფართო საზოგადოება, თუმცა პირველ რიგში სახელმწიფო ინსტიტუტები, რადგან კანონი თავდაცვის დაგეგმვის შესახებ ავალდებულებს სახელმწიფო უწყებებს საფრთხეების შეფასებების ღია ადაპტირებული ვერსია შექმნან. შესაბამისად ჩვენი სურვილი და მიზანია ვითანამშრომლოთ, როგორც საზოგადოებრივ ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებთან და ხელი შევუწყოთ ისეთი პროდუქტის შექმნას, რომელიც მიაწვდის ამომწურავ და ობიექტურ ინფორმაციას საქართველოს მოქალაქეებს ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ.

